საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას
მისამართი: ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18;
საფოსტო კოდი: 0144
ელ.ფოსტა: post@comcom.ge

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" (ს/ნ: 404583786)
დირექტორი გიორგი ფრუიძე (პ/ნ: 01011065498)
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ.14
ელ.ფოსტა: legal@adjara.com

ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. შპს „აჭარასპორტ.ტვ" (ს/კ 404583786) (შემდგომში **„მაუწყებელი"**) 2019 წლის სექტემბრიდან წარმოადგენს ტელემაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირს და საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს საქმიანობას სატელევიზიო არხების Setanta Sports 1 (ავტორიზაციის კოდი:BR-5106), Setanta Sports 2 (ავტორიზაციის კოდი: BR-5107) და Setanta Sports 3 (ავტორიზაციის კოდი: BR-5068) საშუალებით (შემდგომში **„სატელევიზიო არხები"**).

2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ტელემაყურებელს აწვდიდა ქართულ და უცხოურ სპორტულ ამბებს სატელევიზიო არხების საშუალებით. ეთერი ეთმობოდა სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებას, სპორტულ სიახლეებსა და სპორტულ შოუებს. სპორტის გულშემატკივრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თვალი ედევნებინათ ჩემპიონთა ლიგისათვის, ინგლისის პრემიერ ლიგის, მამაკაცთა და ქალთა საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირებისთვის, UFC-ისა და სხვა სპორტული ჩემპიონატებისათვის/ტურნირებისათვის.

2. მაუწყებელი საქმიანობის განხორციელებისას, სრულად იცავს საქართველოს კანონმდებლობას, ავტორიზაციის პირობებსა და ქცევის კოდექსის მოთხოვნებს.

3. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენდა მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი. მომსახურება გულისხმობს მაუწყებლის სატელევიზიო არხების ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებისათვის სხვადასხვა პლატფორმაზე განთავსების უფლების გადაცემას, რათა აბონენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ განახორციელონ სატელევიზიო არხების გამოწერა.

4. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ საჩივრების განხილვის კომისიის არც ერთ ინსტანციას არ მიუღია საჩივარი მაუწყებლის მხრიდან რაიმე სახის დარღვევასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა და მაუწყებლის თვითრეგულირების მექამიზმთან დაკავშირებული დოკუმენტები.

დანართი:

1. აუდიტის დასკვნა 18 (თვრამეტი) გვერდი.
2. საჩივრების განხილვის კომისიის დებულება (დებულება მოქმედებდა 2022 წლის 3 იანვრამდე) – 1 (ერთი) გვერდი;
3. საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისიის დებულება (დებულება მოქმედებდა 2022 წლის 3 იანვრამდე) – 1 (ერთი) გვერდი;
4. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება რომლითაც შეიქმნა საჩივრების განხილვის კომისია (ბრძანება მოქმედებდა 2022 წლის 3 იანვრამდე) – 1 (ერთი) გვერდი;
5. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისია (ბრძანება მოქმედებდა 2022 წლის 3 იანვრამდე) – 1 (ერთი) გვერდი;
6. 2022 წლის 3 იანვრამდე არსებული თვითრეგულირების მექანიზმის აღწერა - 1 (ერთი) გვერდი;
7. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2022 წლის 03 იანვრის ბრძანება „საჩივრების განმხილველი კომისიის დებულებისა და სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" (დანართებთან/ დებულებებთან ერთად) – 11 (თერთმეტი) გვერდი;
8. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2022 წლის 03 იანვრის ბრძანება „საჩივრების განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ" – 1 (ერთი) გვერდი;
9. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2023 წლის 07 თებერვლის ბრძანება „საჩივრების განმხილველი კომისიის წევრის ცვლილების შესახებ" – 1 (ერთი) გვერდი;
10. შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის 2022 წლის 03 იანვრის ბრძანება „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ" – 1 (ერთი) გვერდი;
11. 2022 წლის 3 იანვრის შემდგომ არსებული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის აღწერა - 1 (ერთი) გვერდი.

დანართი სულ: 38 (ოცდათვრამეტი) გვერდი.

პატივისცემით,

გიორგი ფრუიძე

03.04.2023

შპს აჭარასპორტ.ტვ
მ. კოსტავას 14,
0108, თბილისი, საქართველო

ს/კ 404583786
2 61 80 00
info@adjarasport.com

შპს „აჭარასპორტ.ტვ“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს აჭარასპორტ.ტვ

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 8
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 8
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები 9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 9
8. სავაჭრო მოთხოვნები 9
9. გადასახადები 9
10. ფული და ფულის ექვივალენტები 9
11. კაპიტალი 10
12. სავაჭრო ვალდებულებები 10
13. პირობითი ვალდებულებები 10
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 10
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 11

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარასპორტ.ტვ"-ის ხელმძღვანელობას და მეწილეებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარასპორტ.ტვ"-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „აჭარასპორტ.ტვ"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

ECOVIS®
ATA FINANCE

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

28 მარტი, 2023

თბილისი, საქართველო.

ECOVIS®
ATA FINANCE

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები"-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

"ECOVIS ATA FINANCE" LLC • 405193475

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

28 მარტი, 2023

თბილისი, საქართველო.

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	4,639,001	4,478,777
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(3,705,113)	(3,601,406)
საერთო მოგება		**933,888**	**877,371**
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(30,000)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(826,372)	(520,025)
საოპერაციო მოგება		**77,516**	**357,346**
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(220)	-
მოგება დაბეგვრამდე		**77,296**	**357,346**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**77,296**	**357,346**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 მარტს:

გიორგი ფრუიძე
დირექტორი

5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	**2022**	**2021**
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	4,639,001	4,478,777
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(3,705,113)	(3,601,406)
საერთო მოგება		**933,888**	**877,371**
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(30,000)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(826,372)	(520,025)
საოპერაციო მოგება		**77,516**	**357,346**
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(220)	-
მოგება დაბეგვრამდე		**77,296**	**357,346**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**77,296**	**357,346**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 მარტს:

_____

გიორგი ფრუიძე
დირექტორი

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2022**	**31 დეკემბერი 2021**
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	8	846,508	445,356
გადახდილი ავანსები		-	174,366
საგადასახადო აქტივი	9	4,427	-
ფული და ფულის ექვივალენტები	10	138	4,596
სულ აქტივები		**851,073**	**624,318**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება	11	680,609	603,313
სულ კაპიტალი		**685,609**	**608,313**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	9	-	14,134
სავაჭრო ვალდებულებები	12	165,464	1,871
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**165,464**	**16,005**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**851,073**	**624,318**

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	**5,000**	**245,967**	**250,967**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	357,346	**357,346**
31 დეკემბერი 2021	**5,000**	**603,313**	**608,313**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	77,296	**77,296**
31 დეკემბერი 2022	**5,000**	**680,609**	**685,609**

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	**77,296**	**357,346**
არაფულადი კორექტირებები	-	-
საკურსო (მოგება)/ზარალი	220	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	**77,516**	**357,346**
სამუშაო კაპიტალის ცვლილებები:		
დებიტორული დავალიანების ზრდა	(401,407)	(65,357)
ავანსების კლება/(ზრდა)	174,366	(174,366)
საგადასახადო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)	(18,561)	10,499
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)	163,628	(125,189)
წმინდა მიღებული/(გამოყენებული) ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**(4,458)**	**2,933**
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**-**
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	**-**	**-**
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**(4,458)**	**2,933**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**4,596**	**1,663**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**138**	**4,596**

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ,,აჭარასპორტ.ტვ" (შემდგომში „კოპანია") დაარსდა საქართველოში 2019 წლის 9 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404583786.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა კერძოდ კი, სპეციალიზებული სპორტული აქტივობების ტრანსლირება. კომპანია სპორტულ ტელემაუწყებლობას ახორციელებს არხების Adjarasport1 და Adjarasport2-ის, Setanta sports და Setanta sports +-ის მეშვეობით.

მაუწყებლობის განხორციელებისთვის, კომპანიამ დადო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასთან, რომლის თანახმადაც მშობელი საწარმო უზრუნველყოფს შვილობილი კომპანიის საეთერო ბადის მიწოდებას, რომელიც შევსებულია სპორტული ღონისძიებებით და გადაცემებით. აღნიშნული სპორტული ღონისძიებების ჩვენების უფლება შესყიდული აქვს მშობელ კომპანიას.

მშობელმა კომპანიამ 2021 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო უფლება Setanta Sports და Setanta Sports +ის არხების საშუალებით სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების.

სპორტული ღონისძიებები მოიცავს საფეხბურთო ჩემპიონატებს (ინგლისის პრემიერლიგა, ინგლისის თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა და ა.შ), ჩოგბურთის ტურნირებს (WTA, ATP), და UFC.

ინდუსტრიაში მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია", სექტორის რეგულირება ხდება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონი კომპანიას უწესებს გარკვეულ ვალდებულებებს, როგორიცაა პროგრამული და ასაკობრივი შეზღუდვები, რეკლამის და პროგრამაში პროდუქტის განთავსების წესები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. სანქციის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს ავტორიზაციის შეჩერება. უკიდურესი ზომის გამოყენება კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა. ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, კომპანიის მიმართ არ არის გამოყენებული კანონით გათვალისწინებული არცერთი სანქცია. ინფორმაცია სანქციების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის საიტზე (https://comcom.ge/).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 14.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა შპს „აჭარა.ქომ", რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შპს „სითი ლოფტის" შვილობილ კომპანიას. საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენს თეიმურაზ უგულავა.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს
წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია) მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს, თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო მიმდინარე, გაუფასურების ნიშნების გარეშე.
- **საგადასახადაო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ დაჭირვებია მნიშველოვანი შეფასების გაკეთება საგადასახადო პრაქტიკის შეფასებისთვის.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2022	2021
არხების განთავსების უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	4,602,323	4,478,777
სხვა შემოსავალი	36,678	-
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	**4,639,001**	**4,478,777**

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან (გაგრძელება)

როგორც ეს პირველ შენიშვნაშია მოცემული კომპანია ფლობს ოთხ სპორტულ არხს: Adjarasport1 და Adjarasport2, Setanta 1 და Setanta 2. აღნიშნული არხების საეთერო ბადე შევსებულია მშობელი კომპანიისგან სარგებლობის უფლებით გადმოცემული ლიცენზიის შესაბამისი პროგრამებით.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს პროვაიდერებისთვის IPTV პლატფორმაზე არხების განთავსების უფლების გადაცემა და თითოეული აბონენტის მიხედვით ფიქსირებული ყოველთვიური შემოსავლის მიღება.

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2022	2021
საეთერო ბადის შესყიდვის ხარჯი	(3,681,918)	(3,579,015)
ტელემაუწყებლობის რეგულირების ხარჯი	(23,195)	(22,391)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	**(3,705,113)**	**(3,601,406)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შედგება დედა კომპანიისგან მიღებული მომსახურების ხარჯისა და აუდიტორული მომსახურების ხარჯისგან. აღნიშნული მომსახურება მოიცავს იურიდიულ, ბუღალტრულ და სხვა ადმინისტრაციული ხასიათის მომსახურებებს.

8. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგებავ არხების განთავსების უფლების გადაცემიდან მისაღები თანხებისგან. სავაჭრო მოთხოვნები სრულად წარმოადგენს ერთ თვემდე მიმდინარე მოთხოვნებს, რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა.

9. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგებას, რომელიც მიღებულ იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ადგილობრივ ბანკში, ლარის მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხებს.

11. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით და შეადგენს 5,000 ლარს, რომელიც შეივსო 2019 წლის 11 სექტემბერს.

დივიდენდები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია და გაუცია დივიდენდები.

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ლიცენზიით სარგებლობის უფლებისთვის, რეგულირებისა და ადმინისტრაციული მომსახურებისთვის გადასახდელ თანხებს.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან	126,598	-
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	38,866	1,871
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**165,464**	**1,871**

13. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.
გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ნაშთები

	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	მშობელი კომპანია	13,690	500
გადახდილი ავანსები	მშობელი კომპანია	-	174,366
სავაჭრო ვალდებულებები	მშობელი კომპანია	(126,598)	-

დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები

	კავშირის სახე	2022	2021
ლიცენზიის სარგებლობის უფლება	მშობელი კომპანია	(3,681,918)	(3,579,015)
ადმინისტრაციული ხარჯი	მშობელი კომპანია	(805,085)	(518,704)

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

საჩივრების განხილვის კომისიის დებულება

მუხლი 1. კომისის სტატუსი

საჩივრების განხილვის კომისია წარმოადგენს შპს „აჭარასპორტ.ტვ“(ს/კ 404583786)-ის მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ მე-14 მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიხედვით მაუწყებლებზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილება

ა) კომისია განიხილავს „მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის შესახებ შემოსულ საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებებს.

ბ) კომისია საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შემოსვლიდან 20 დღის ვადაში.

გ) კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

დ) მიღებულ გადაწყვეტილებას, „მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრისა და მსგავსი დარღვევების პრევენციის მექანიზმის აღწერილობასთან ერთად კომისია წარუდგენს კერძო მაუწყებლის ადმინისტრაციას, ასევე ყველა დაინტერესულ პირს.

ე) წელიწადში ერთხელ კომისია კერძო მაუწყებლის ადმინისტრაციას წარუდგენს ანგარიშს საჩივრების განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის შესახებ, ასევე საჩივრებისა და საჩივრების განხილვის ვადების შესახებ.

მუხლი 3. კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარე

ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას

ბ) წარადგენს კომისიას მესამე პირებთან

გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის

მუხლი 4. კომისის საქმიანობის უზრუნველყოფა.

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კერძო მაუწყებლის ადმინისტრაცია.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

11 ოქტომბერი, 2019 წელი

საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. კომისიის სტატუსი

საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისია წარმოადგენს შპს „აჭარასპორტ.ტვ“ მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ მე-14 მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისის მიერ დადგენილი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიხედვით მაუწყებლებზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილება

კომისია განიხილავს „მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის შესახებ შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ის „საჩივრების განხილვების კომისიაში“ შესულ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სააპელაციო საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებას.

ბ) კომისია სააპელაციო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შემოსვლიდან 20 დღის ვადაში.

გ) კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით

დ) კომისია უფლებამოსია უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს შპს „აჭარასპორტ.ტვ“ -ის „საჩივრების განხილვის კომისიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა და „საჩივრების განხილვის კომისიის“ გადაწყვეტილება დასაბუთებული.

ე) მიღებულ გადაწყვეტილებას, „მაუწყებლის ქცევის კოდექსის“ გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრისა და მსგავსი დარღვევების პრევენციის მექანიზმის აღწერილობასთან ერთად კომისია წარუდგენს კერძო მაუწყებლის ადმინისტრაციას, ასევე ყველა დაინტერესულ პირს.

ვ) წელიწადში ერთხელ კომისია კერძო მაუწყებლის ადმინისტრაციას წარუდგენს ანგარიშს საჩივრების, განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის შესახებ, ასევე საჩივრებისა და საჩივრების განხილვის ვადების შესახებ.

მუხლი 3. კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარე

ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას

ბ) წარადგენს კომისიას მესამე პირებთან

გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებ შორის

მუხლი 4. კომისის საქმიანობის უზრუნველყოფა.

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კერძო მაუწყებლის ადმინისტრაცია ახორციელებს.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

11 ოქტომბერი, 2019 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ისადმი

თბილისი 11.10.2019

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვბრძანებ:

საქართველოს კანონის „მაუწყებლის შესახებ“ მე-14 მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-2 თავის საფუძველზე, კერძო მაუწყებლების „აჭარასპორტ 1“-ისა და „აჭარასპორტ 2“-ის ბაზაზე, დაინტერესებულ პირთა მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ შემოტანილი საჩივრების განსახილველად შეიქმნას სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია სამი წევრის შემადგენლობით.

კომისიას ეწოდოს „საჩივრების განხილვის კომისია“

კომისიის წევრებად დაინიშნონ შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ის თანამშრომლები:

1. სულხან ლაცაბიძე (პ/ნ 01023009067)
2. ნიკოლოზი ესებუა - (პ/ნ 01011074101)
3. ბაჩა მალაზონია - (პ/ნ 01010004480)

კომისიის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისროს ბაჩა მალაზონიას.

საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად კომისია უზრუნველყოფილი იქნას საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური რესურსებით.

კომისიის საქმიანობა განისაზღვროს კომისიის საქმიანობის დებულებით (ბრძანებას თან ერთვის)

ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ბრძანების ასლები დაეგზავნოს შესაბამისი თანამდებობის პირებს

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ისადმი

თბილისი 11.10.2019

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვბრძანებ:

საქართველოს კანონის „მაუწყებლის შესახებ“ მე-14 მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-2 თავის საფუძველზე, კერძო მაუწყებელების „აჭარასპორტ 1“-ისა და „აჭარასპორტ 2“-ის ბაზაზე, დაინტერესებულ პირთა მიერ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ შემოტანილი სააპელაციო საჩივრების განსახილველად შეიქმნას სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია სამი წევრის შემადგენლობით.

კომისიას ეწოდოს „საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისია“

კომისიის წევრებად დაინიშნონ:

1. ირაკლი სურგულაძე (პ/ნ 62002005412)
2. ოთარ ჯანგავაძე - (პ/ნ 01015016322)
3. აკაკი კევლიშვილი (პ/ნ 01031005328)

კომისიის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისროს ოთარ ჯანგავაძეს.
საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად კომისია უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური რესურსით.

კომისიის საქმიანობა განისაზღვროს კომისიის საქმიანობის დებულებით (ბრძანებას თან ერთვის)

ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ბრძანების ასლები დაეგზავნოს შესაბამისი თანამდებობის პირებს

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

თვითრეგულირების მექანიზმი

2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" სახით.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" თანახმად მაუწყებლებს განესაზღვრათ ვალდებულება, შეექმნათ თვითრეგულირების მექანიზმი.

შპს „აჭარასპორტ.ტვ"-ს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

კერძო მაუწყებელში თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრების განხვილს კომისია ორი ინსტანციის სახით შეიქმნა: პირველი ინსტანცია – "კომისია" და მეორე ინსტანცია "სააპელაციო კომისია".

პირველი ინსტანციის „საჩივრების განხილვის კომისიის" წევრები არიან:

1. სულხან ლაცაბიძე (პ/ნ 01023009067)
2. ნიკოლოზი ესებუა - (პ/ნ 01011074101)
3. ბაჩა მალაზონია - (პ/ნ 01010004480)

მეორე ინსტანციის „საჩივრების განხილვის სააპელაციო საბჭოს" წევრები არიან

4. ირაკლი სურგულაძე (პ/ნ 62002005412)
5. ოთარ ჯანგავაძე - (პ/ნ 01015016322)
6. აკაკი კევლიშვილი (პ/ნ 01031005328)

პირს, რომელიც თვლის რომ შპს „აჭარასპორტ.ტვ" -მ „მაუწყებლის ქცევის კოდექსი" და მისი უფლებები დაარღვია, შეუძლია მაუწყებელს საჩივრით მიმართოს.

საჩივრის გამოგზავნის სურვილის შემთხვევაში პირს შეუძლია დოკუმენტაცია, თვითრეგულირების მექანიზმის სახელით ჩააბაროს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-15 სართული, ან საჩივარი გაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: legal@adjara.com

ბრძანება

საჩივრების განმხილველი კომისიის დებულებისა და სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე

თბილისი **03.01.2022**

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე, ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-2 თავის საფუძველზე, კერძო მაუწყებლების „აჭარასპორტ 1-ის“ (Adjarasport 1), „აჭარასპორტ 2-ის“ (Adjarasport 2), „სეტანტა სპორტს“ (Setanta sports) და „სეტანტა სპორტს+-ის“ (Setanta sports+) ბაზაზე, თვითრეგულირების ეფექტიანი მექაზმის შექმნის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „საჩივრების განმხილველი კომისიის დებულება“ დანართი №1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულება“ დანართი №2-ის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2019 წლის 11 ოქტომბრის „საჩივრების განხილვის კომისიის დებულება“ და „საჩივრების განხილვის სააპელაციო კომისიის დებულება“.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

დანართი №1

საჩივრების განმხილველი კომისიის დებულება

თავი I

საჩივრების განმხილველი ორგანო

მუხლი 1. საჩივრების განმხილველი კომისია

1. საჩივრების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია) წარმოადგენს შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ (ს/კ 404583786) მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის (შემდგომში - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) მიხედვით მაუწყებელზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
2. კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ დირექტორის ბრძანებით.
3. კომისიის შემადგენლობაში შედის:
   (ა) კომისიის თავმჯდომარე;
   (ბ) კომისიის წევრები.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია განიხილავს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ შემოსულ საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებებს.
2. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:
   (ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას;
   (ბ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის.
3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის წევრების მიერ, მათი შემადგენლობიდან არჩეული პირი (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).
4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

7. კომისიის სხდომის ჩატარების ორგანიზება, ოქმის მომზადება და კომისიის გადაწყვეტილების საჩივრის წარმდგენი პირისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის გაგზავნა ევალება მარიამ გელიტაშვილს (პ/ნ 01001090841).

თავი II

საჩივრის წარდგენა და განხილვა

მუხლი 3. საჩივრის წარდგენა

1. კომისიაში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. ამასთან, წინამდებარე დებულების მიზნებისათვის „დაინტერესებული მხარე" განიმარტება მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი განმარტების ანალოგიურად.
2. დაინტერესებულმა მხარემ კომისიაში საჩივარი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით.
3. საჩივარი უნდა შეიცავდეს:
   (ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - საჩივრის ავტორის სახელს/გვარს, საცხოვრებელ მისამართს, დაბადების თარიღს (დღე/თვე/რიცხვი), პირად ნომერს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტა);
   (ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდებას (სამართლებრივი ფორმის მითითებით), საიდენტიფიკაციო ნომერს, ინფორმაციას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ, იურიდიულ მისამართს, ფაქტობრივ მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტა);
   (გ) მოთხოვნას და იმ გარემოებას, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;
   (დ) საჩივრის წარდგენის თარიღს და საჩივრის ავტორის ხელმოწერას;
   (ე) საჩივარზე თანდართული დოკუმენტების ნუსხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   (ვ) თუ საჩივარი შეაქვს დაინტერესებული პირის წარმომადგენელს, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, ფიზიკური პირის შემთხვევაში, დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად ან მასზე ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
   (ზ) იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ან/და თანდართული დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საჩივარი ან/და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული.

მუხლი 4. საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

1. კომისიაში საჩივრის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში კომისია ამოწმებს საჩივრის შესაბამისობას წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, კომისია ადგენს ხარვეზს და საჩივრის წარმდგენ პირს განუსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე ნაკლები.

2. საჩივრის განხილვის ვადის დინება ჩერდება ხარვეზის დადგენის დღიდანვე, რომელიც განახლდება ხარვეზის აღმოფხვრისთანავე.
3. თუ კომისიის მიერ დადგენილ ვადაში საჩივრის წარმდგენი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 5. საჩივრის განხილვა

1. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საჩივრის წარდგენიდან 21 დღისა. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, კომისია ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ საჩივრის წარმდგენ პირს და ყველა დაინტერესებულ პირს.
2. დაუშვებელია, საჩივარი განიხილოს პირმა, რომელიც რაიმე სახით არის დაკავშირებული საჩივრის წარმდგენ პირთან ან არსებობს გარემოებები, რომელიც გამორიცხავს მის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას.
3. დაინტერესებულს მხარეს, რომელიც არ არის საჩივრის წარმდგენი პირი, უფლება აქვს, კომისიას წერილობით მოსთხოვოს კომისიის სხდომაზე დასწრება. კომისია უფლებამოსილია, უარი უთხრას დაინტერესებულ მხარეს კომისიის სხდომაზე დასწრებაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა დაუსაბუთებელია.
4. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ან/და მოწმეები. სპეციალისტის ან/და მოწმის მოწვევაზე, საჩივრის წარმდგენი პირის ან კომისიის ინიციატივის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს კომისია.
5. კომისია საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.
6. სხდომა შესაძლებელია წარიმართოს ვიდეოკონფერენციის საშუალებით.
7. კომისია უზრუნველყოფს სხდომაში საჩივრის წარმდგენი პირისა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას. ამისათვის, კომისია საჩივრის წარმდგენ პირსა და ყველა დაინტერესებულ პირს წერილობით აცნობებს სხდომის ჩატარების დღეს. საჩივრის წარმდგენი პირისა და დაინტერესებული პირისთვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე სხდომის შესახებ შეტყობინების გაგზავნითა და მისგან შესაბამისი დასტურის მიღებით ან საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.
8. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
9. სხდომა იხსნება სხდომის თავმჯდომარის შესავალი სიტყვით, სადაც იგი განმარტავს პროცედურულ საკითხებს და საჩივრის ძირითად შინაარსს.
10. სხდომის თავმჯდომარის შესავალი სიტყვის შემდგომ, საჩივრის წარმდგენი პირი უფლებამოსილია, სხდომაზე გააკეთოს მოხსენება იმ გარემოებებსა და მტკიცებულებების შესახებ, რომელსაც ეყრდნობა მისი საჩივარი.
11. სხდომაზე კითხვების დასმის უფლება აქვთ კომისიის წევრებს, საჩივრის წარმდგენ პირს ან დაინტერესებულ მხარე(ებ)ს. საჩივრის წარმდგენ პირს და დაინტერესებულ მხარე(ებ)ს შეუძლიათ, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, კითხვები დაუსვან სხდომაში მონაწილე სხვა პირებს.

12. საჩივრის წარმდგენ პირსა და დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს სხდომაზე წარადგინოს მტკიცებულებები, ასევე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით.
13. თუ საჩივრის წარმდგენ პირს დანიშნული ჰყავს წარმომადგენელი, წარმომადგენელი მას სრულად წარმოადგენს, ესწრება სხდომას და იყენებს საჩივრის წარმდგენი პირის ყველა უფლებას. ამასთან, ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება და გადაწყვეტილება ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივრის წარმდგენ პირს სურს პირადად მიიღოს შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება და ამის შესახებ ნათლად მიუთითებს საჩივარში. კომისიის სხდომაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს წარმომადგენელმა დამოუკიდებლად ან საჩივრის წარმდგენ პირთან ერთად.
14. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს სხდომა დაატოვებინოს წესრიგის დამრღვევ პირს.
15. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე ან/და საჩივრის წარმდგენი პირი არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე, კომისიას უფლება აქვს, დავა განიხილოს საჩივრის წარმდგენი პირის ან/და დაინტერესებული მხარის გარეშე. დაინტერესებული მხარისა და საჩივრის წარმდგენი პირისთვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე სხდომის შესახებ შეტყობინების გაგზავნითა და მისგან შესაბამისი დასტურის მიღებით ან საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.
16. საჩივრის წარმდგენი პირის ახსნა-განმარტებების გაკეთების, შეკითხვების დასმისა და კომისიის სხდომაში მონაწილეთა მოსაზრებების სრულად დაფიქსირების შემდეგ იმართება კომისიის წევრების თათბირი დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე, რის შედეგადაც კომისია აცხადებს გადაწყვეტილებას.
17. კომისიის წერილობითი გადაწყვეტილება საჩივრის წარმდგენ პირსა და ყველა დაინტერესებულ პირს უნდა გაეგზავნოს გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.
18. საქმის გარემოებების გათვალისწინებით ან საჩივრის წარმდგენი პირის შუამდგომლობის საფუძველზე ან კომისიის გადაწყვეტილებით, სხდომა შეიძლება გადაიდოს კომისიის მიერ დადგენილი ვადით.
19. სხდომის დასრულების შემდეგ, დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. თუ კომისიის დამსწრე წევრს აქვს განსხვავებული აზრი, განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს და ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
20. კომისიის სხდომაზე დამსწრეთა თანხმობის შემთხვევაში, კომისიის სხდომა შეიძლება ჩაიწეროს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, სხდომის ჩანაწერი ერთვის სხდომის ოქმს და ჩანაწერის შინაარსის წერილობითი ფორმით ოქმში ასახვა აღარ ხორციელდება.

თავი III

კომისიის გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრება

მუხლი 6. კომისიის გადაწყვეტილება

1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   (ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

(ბ) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
(გ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. გადაწყვეტილებაში აღინიშნება:
(ა) გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება;
(ბ) კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი არგუმენტაცია, რომლის საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება;
(გ) გადაწყვეტილების სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების ვადა და წესი.

მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 (შვიდი) დღის ვადაში სააპელაციო საჩივრების განმხილველ სააპელაციო კომისიაში.
2. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ვადის დინება იწყება საჩივრის წარმდგენი პირისათვის წერილობითი გადაწყვეტილების ჩაბარების დღის მომდევნო დღიდან. თუ მომდევნო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ან/და სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ვადის ათვლა დაიწყება მომდევნო სამუშაო დღიდან. საჩივრის წარმდგენი პირისათვის გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე სხდომის შესახებ შეტყობინების გაგზავნითა და მისგან შესაბამისი დასტურის მიღებით ან საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

03 იანვარი, 2022 წელი

დანართი №2

სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულება

თავი I

სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია

მუხლი 1. სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია

1. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია (შემდგომში - სააპელაციო კომისია) წარმოადგენს შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" (ს/კ 404583786) მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის (შემდგომში - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) მიხედვით მაუწყებელზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" დირექტორის ბრძანებით.
3. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედის:
   (ა) კომისიის თავმჯდომარე;
   (ბ) კომისიის წევრები.

მუხლი 2. სააპელაციო კომისიის უფლებამოსილება

1. სააპელაციო კომისია განიხილავს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" საჩივრების განმხილველ კომისიაში შესულ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ სააპელაციო საჩივარს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
2. სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:
   (ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას;
   (ბ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის.
3. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სააპელაციო კომისიის წევრების მიერ, მათი შემადგენლობიდან არჩეული პირი (სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).
4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
5. სააპელაციო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

7. სხდომის ჩატარების ორგანიზება, ოქმის მომზადება და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საჩივრის წარმდგენი პირისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის გაგზავნა ევალება მარიამ გელიტაშვილს (პ/ნ 01001090841).

თავი II

სააპელაციო საჩივრის წარდგენა და განხილვა

მუხლი 3. სააპელაციო საჩივრის წარდგენა

1. სააპელაციო კომისიაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც ნახსენებია შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" საჩივრების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებაში (შემდგომში - დაინტერესებული პირი).
2. დაინტერესებულმა მხარემ კომისიაში სააპელაციო საჩივარი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით.
3. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:
   (ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - სააპელაციო საჩივრის ავტორის სახელს/გვარს, საცხოვრებელ მისამართს, დაბადების თარიღს (დღე/თვე/რიცხვი), პირად ნომერს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტა);
   (ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდებას (სამართლებრივი ფორმის მითითებით), საიდენტიფიკაციო ნომერს, ინფორმაციას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ, იურიდიულ მისამართს, ფაქტობრივ მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტა);
   (გ) მოთხოვნას და იმ გარემოებას, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;
   (დ) სააპელაციო საჩივრის წარდგენის თარიღს და სააპელაციო საჩივრის ავტორის ხელმოწერას;
   (ე) სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტების ნუსხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   (ვ) თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს დაინტერესებული პირის წარმომადგენელს, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, ფიზიკური პირის შემთხვევაში, დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად ან მასზე ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
   (ზ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაცო საჩივარი ან/და თანდართული დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, სააპელაციო საჩივარი ან/და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული.

მუხლი 4. სააპელაციო საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

1. სააპელაციო კომისიაში სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო კომისია ამოწმებს სააპელაციო საჩივრის შესაბამისობას წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. თუ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, სააპელაციო კომისია ადგენს ხარვეზს და სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს განუსაზღვრავს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე ნაკლები.
2. სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადის დინება ჩერდება ხარვეზის დადგენის დღიდანვე, რომელიც განახლდება ხარვეზის აღმოფხვრისთანავე.
3. თუ სააპელაციო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზს, სააპელაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.
4. სააპელაციო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის" საჩივრების განმხილველი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამის საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო საჩივრების განხილველი კომისიის გადაწყვეტილება დასაბუთებული.

მუხლი 5. სააპელაციო საჩივრის განხილვა

1. სააპელაციო კომისია ვალდებულია უზურნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.
2. სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში არ მონაწილეობს პირი, რომელიც რაიმე სახით არის დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირთან ან არსებობს გარემოებები, რომელიც გამორიცხავს მის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას. ამასთან, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სააპელაციო კომისიის წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება სააპელაციო კომისიის წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო კომისიის მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. დაინტერესებულ მხარეს, რომელიც არ არის სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი, უფლება აქვს, სააპელაციო კომისიას წერილობით მოსთხოვოს სააპელაციო კომისიის სხდომაზე დასწრება. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია უარი უთხრას დაინტერესებულ მხარეს სააპელაციო კომისიის სხდომაზე დასწრებაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა დაუსაბუთებელია.
4. საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ან/და მოწმეები. სპეციალისტის ან/და მოწმის მოწვევაზე, სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ან სააპელაციო კომისიის ინიციატივის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისია.

5. სააპელაციო კომისია სააპელაციო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.
6. სხდომა შესაძლებელია წარიმართოს ვიდეოკონფერენციის საშუალებით.
7. სააპელაციო კომისია უზრუნველყოფს სხდომაში სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირისა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას. ამისათვის, სააპელაციო კომისია სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირსა და ყველა დაინტერესებულ პირს წერილობით აცნობებს სხდომის ჩატარების დღეს. სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირისა და დაინტერესებული პირისთვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება სააპელაციო საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე სხდომის შესახებ შეტყობინების გაგზავნითა და მისგან შესაბამისი დასტურის მიღებით ან სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.
8. სხდომას უძღვება სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე ან სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
9. სხდომა იხსნება სხდომის თავმჯდომარის შესავალი სიტყვით, სადაც იგი განმარტავს პროცედურულ საკითხებს და სააპელაციო საჩივრის ძირითად შინაარსს.
10. სხდომის თავმჯდომარის შესავალი სიტყვის შემდგომ, სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი უფლებამოსილია, სხდომაზე გააკეთოს მოხსენება იმ გარემოებებსა და მტკიცებულებების შესახებ, რომელსაც ეყრდნობა მისი სააპელაციო საჩივარი.
11. სხდომაზე კითხვების დასმის უფლება აქვთ სააპელაციო კომისიის წევრებს, სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს ან დაინტერესებულ მხარე(ებ)ს. სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს და დაინტერესებულ მხარე(ებ)ს შეუძლიათ, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, კითხვები დაუსვან სხდომაში მონაწილე სხვა პირებს.
12. სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირსა და დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს სხდომაზე წარადგინოს მტკიცებულებები, ასევე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით.
13. თუ სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს დანიშნული ჰყავს წარმომადგენელი, წარმომადგენელი მას სრულად წარმოადგენს, ესწრება სხდომას და იყენებს სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ყველა უფლებას. ამასთან, ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება და გადაწყვეტილება ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირს სურს პირადად მიიღოს შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება და ამის შესახებ ნათლად მიუთითებს სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო კომისიის სხდომაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს წარმომადგენელმა დამოუკიდებლად ან სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირთან ერთად.
14. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს სხდომა დაატოვებინოს წესრიგის დამრღვევ პირს.
15. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი ან/და დაინტერესებული მხარე არ გამოცხადდა სააპელაციო კომისიის სხდომაზე, სააპელაციო კომისიას უფლება აქვს, სააპელაციო საჩივარი განიხილოს სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ან/და დაინტერესებული მხარის გარეშე. დაინტერესებული მხარისა და სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირისთვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება სააპელაციო საჩივარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე სხდომის შესახებ შეტყობინების გაგზავნითა და მისგან შესაბამისი დასტურის მიღებით ან სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.

16. სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ახსნა-განმარტებების გაკეთების, შეკითხვების დასმისა და სააპელაციო კომისიის სხდომაში მონაწილეთა მოსაზრებების სრულად დაფიქსირების შემდეგ იმართება სააპელაციო კომისიის წევრების თათბირი დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე, რის შედეგადაც სააპელაციო კომისია აცხადებს გადაწყვეტილებას.
17. სააპელაციო კომისიის წერილობითი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის წარმდგენ პირსა და ყველა დაინტერესებულ პირს უნდა გაეგზავნოს გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.
18. საქმის გარემოებების გათვალისწინებით ან სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის შუამდგომლობის საფუძველზე ან სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით, სხდომა შეიძლება გადაიდოს სააპელაციო კომისიის მიერ დადგენილი ვადით.
19. სხდომის დასრულების შემდეგ, დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. თუ სააპელაციო კომისიის დამსწრე წევრს აქვს განსხვავებული აზრი, განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს და ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
20. სააპელაციო კომისიის სხდომაზე დამსწრეთა თანხმობის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის სხდომა შეიძლება ჩაიწეროს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, სხდომის ჩანაწერი ერთვის სხდომის ოქმს და ჩანაწერის შინაარსის წერილობითი ფორმით ოქმში ასახვა აღარ ხორციელდება.

თავი III

სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება

მუხლი 6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება

1. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   (ა) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
   (ბ) სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
   (გ) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
2. გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. გადაწყვეტილებაში აღინიშნება:
   (ა) გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ვინაობა და სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება;
   (ბ) სააპელაციო კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი არგუმენტაცია, რომლის საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

03 იანვარი, 2022 წელი

ბრძანება

საჩივრების განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ

თბილისი **03.01.2022**

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებლობის ქცევის კოდესის (შემდგომში - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) მე-2 თავის საფუძველზე, მაუწყებლის სატელევიზიო არხების „აჭარასპორტ 1-ის“ (Adjarasport 1), „აჭარასპორტ 2-ის“ (Adjarasport 2), „სეტანტა სპორტს“ (Setanta sports) და „სეტანტა სპორტს+-ის“ (Setanta sports+) მაუწყებლობასთან დაკავშირებით მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა/პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურების დანერგვის მიზნით, შეიქმნას სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია, სახელწოდებით „საჩივრების განმხილველი კომისია“ (შემდეგში - კომისია), სამი წევრის შემადგენლობით.
2. კომისიის წევრებად დაინიშნონ:
   (ა) თამარ ჩიკვილაძე (პ/ნ 01031007144)
   (ბ) ლელა ღამბაშიძე (პ/ნ 11001031120)
   (გ) თამარა მახათაძე (პ/ნ 18701073672)
3. კომისიის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისროს თამარ ჩიკვილაძეს.
4. საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად კომისია უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური რესურსებით.
5. კომისიის საქმიანობა განისაზღვროს/წარიმართოს „საჩივრების განმხილველი კომისიის დებულებით“.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანების ასლები და „საჩივრების განმხილველი კომისიის დებულება“ დაეგზავნოთ კომისიის წევრებს.
8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც შექმნილია საჩივრების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

ბრძანება

საჩივრების განმხილველი კომისიის წევრის ცვლილების შესახებ

თბილისი **07.02.2023**

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. საჩივრების განმხილველი კომისიის („კომისია“) წევრს თამარა მახათაძეს (პ/ნ 18701073672) შეუწყდეს უფლებამოსილება და მის ნაცვლად კომისიის წევრად დაინიშნოს თეონა თოდუა (პ/ნ 62009007049).
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების ასლები დაეგზავნოთ კომისიის წევრებს.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

ბრძანება

სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ

თბილისი **03.01.2022**

საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილების (შემდგომში - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) მე-2 თავის საფუძველზე, კერძო მაუწყებლების „აჭარასპორტ 1-ის“, „აჭარასპორტ 2-ის“, „სეტანტა სპორტს“ და „სეტანტა სპორტს+-ის“ ბაზაზე, დაინტერესებულ მხარეთა/პირთა მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრების განსახილველად შეიქმნას სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია, სახელწოდებით „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია“, სამი წევრის შემადგენლობით.
2. სააპელაციო კომისიის წევრებად დაინიშნონ:
   (ა) ბაჩა მალაზონია (პ/ნ 01010004480)
   (ბ) ოთარ მუმლაძე (პ/ნ 01001080583)
   (გ) თინათინი ჩაჩანიძე (პ/ნ 35001044334)
3. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისროს ბაჩა მალაზონიას.
4. საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად კომისია უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური რესურსებით.
5. კომისიის საქმიანობა განისაზღვროს/წარიმართოს „საჩივრების განმხილველი კომისიის დებულებით“.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანების ასლები და „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულება“ დაეგზავნოთ სააპელაციო კომისიის წევრებს.
8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ დირექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც შექმნილია სააპელაციო საჩივრების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია.

დირექტორი

გიორგი ფრუიძე

თვითრეგულირების მექანიზმი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ (დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით) მე-2 თავის თანახმად, მაუწყებლებს ევალებათ თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, შექმნილი აქვს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას, მასზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ში“, თვითრეგულირების ფარგლებში, საჩივრების განმხილველი კომისია ორი ინსტანციის სახით არსებობს. კერძოდ, საჩივრების განმხილველი პირველი ინსტანციაა „საჩივრების განმხილველი კომისია“, ხოლო მეორე ინსტანციაა „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია“.

პირველი ინსტანციის - „საჩივრების განმხილველი კომისიის“ - წევრები არიან:

1. თამარ ჩიკვილაძე
2. ლელა ღამბაშიძე
3. თეონა თოდუა

მეორე ინსტანციის - „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის“ - წევრები არია:

1. ბაჩა მალაზონია
2. ოთარ მუმლაძე
3. თინათინი ჩაჩანიძე

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულია საჩივრების განმხილველი კომისიის დებულება და სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულება.

თუ თვლით, რომ შპს „აჭარასპორტ.ტვ-იმ“ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და თქვენი უფლებები დაარღვია, შეგიძლიათ კომპანიას საჩივრით მიმართოთ.

საჩივრის წარმოდგენის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, შესაბამისი დებულების საფუძველზე შედგენილი საჩივარი და შესაბამისი დოკუმენტაცია, თვითრეგულირების მექანიზმის სახელზე ჩააბაროთ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას ქუჩა 14, მე-5 სართული ან საჩივარი და შესაბამისი დოკუმენტაცია გამოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: legal@setantasports.com